პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ახალგაზრდა სტალინელი

ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატის, პარტიული და კომკავშირის კომიტეტების, პროფკომისა და ადგილკომის ორგანო

Ахалгазрда Сталинели — орган ректората, парткома, профкома, месткома и комитета ЛКСМ Тбилисского государственного университета имени И. В. Сталина

ოთხშაბათი, 17 თებერვალი, 1954 წ.
№ 6 (67)
ფასი 20 კაპ.

გამოცემის მესამე წელი

ხმა მივცეთ კომუნისტებისა და უპარტიოების სახალხო ბლოკის კანდიდატებს!

ლენინ-სტალინის დროშით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით — წინ, კომუნიზმის სრული გამარჯვებისაკენ!

# მ ი მ ა რ თ ვ ა

## საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა

### ყველა ამომრჩეველს, მუშებს, გლეხებს, საბჭოთა ინტელიგენციას, საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მეომრებს

ამხანაგებო!

**1954 წლის 14 მარტს საბჭოთა ხალხი აირჩევს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებს.**

ამ ღირსშესანიშნავ მოვლენას ჩვენი ქვეყანა ეგებება ძალღონით აღსავსე, ეკონომიკისა და კულტურის მძლავრი აღმავლობის პირობებში.

საბჭოთა ხალხის უდიდესი მიღწევაა ის, რომ მან აღადგინა სამრეწველო საწარმოები, ქალაქები და სოფლები, რომლებიც გერმანელმა ფაშისტმა დამპყრობლებმა დაანგრიეს ომის პერიოდში. მტერმა ნანგრევებად აქცია ასობით ქარხანა და ფაბრიკა, ათობით ქალაქი, ათასობით სოფელი, უსახლკაროდ დარჩა მილიონობით ადამიანი. გავიდა სულ რამდენიმე წელიწადი, და ჩი კვლავ სოციალისტური ინდუსტრიის მწყობრშია ჰლორძინებული და უახლესი ტექნიკით აღჭურვილი სამრეწველო საწარმოები; აღდგენილია მტრის მიერ გადამწვარი და დანგრეული ქალაქები და სოფლები; აღარ არის მიწურები, სადაც თავს აფარებდა ბევრი რაიონის მოსახლეობა — მათთვის აგებულია ახალი, კეთილმოწყობილი საცხოვრებელი სახლები. ყოველივე ამან მოითხოვა კოლოსალური ღონისძიებანი, სახსრები და ძალების უდიდესი დაძაბვა. მაგრამ ეს გაკეთდა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის რკინისებურმა ნებამ, ჩვენი ხალხის თავდადებულმა, გმირულმა შრომამ გადალახა ყველა სიძნელე, კვლავ და კვლავ დაამტკიცა საბჭოთა წყობილების დიადი სასიცოცხლო ძალა.

საბჭოთა ხალხმა თავისი სწრაფი და შეუჩერებელი წინსვლით შორს მოიტოვა ის ეკონომიური მიჯნები, რომლებზეც ომმა შეწყვიტა მისი მშვიდობიანი შრომა. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს წინა არჩევნები ჩატარდა 1950 წელს — მეოთხე ხუთწლედის უკანასკნელ წელს. წარმატებით დაამთავრეს რა ეს ხუთწლედი, საბჭოთა ადამიანები, კომუნისტური პარტიის მეთაურობით, ძალღონეს და შრომას არ იშურებენ, რათა განახორციელონ ახალი — მეხუთე ხუთწლედის დავალებანი. უკვე 1953 წელს სამრეწველო წარმოების მოცულობამ სსრ კავშირში ორნახევარჯერ გადააჭარბა ომამდელი 1940 წლის დონეს.

ჩვენი მშვიდობიანი ეკონომიკის აყვავების საფუძველი, ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის საფუძველი იყო და არის მძიმე მრეწველობა. ჯერ კიდევ ომამდე, ახორციელებდა რა მთელი სახალხო მეურნეობის სოციალისტურ რეკონსტრუქციას და ამზადებდა რა ჩვენს ქვეყანას აქტიური თავდაცვისათვის, პარტიამ შექმნა მძლავრი, პირველხარისხოვანი მძიმე ინდუსტრია. ომისშემდგომ წლებში მოპოვებულია ახალი დიდი წარმატებანი მძიმე მრეწველობის განვითარებაში. 1953 წელს სსრ კავშირში გამოშვებულია 38 მილიონი ტონა ფოლადი — ორჯერ მეტი, ვიდრე 1940 წელს; ამოღებულია 320 მილიონი ტონა ქვანახშირი — ერთნახევრად მეტი, ვიდრე 1940 წელს, და 52 მილიონი ტონა ნავთობი — 70 პროცენტით მეტი, ვიდრე 1940 წელს; გამომუშავებულია 133 მილიარდი კილოვატსაათი ელექტროენერგია — 2,8-ჯერ მეტი, ვიდრე 1940 წელს. ყველაზე უფრო სწრაფად იზრდება და ვითარდება საბჭოთა მანქანათმშენებლობა — ჩვენი ინდუსტრიის გული: 1953 წელს 3,8-ჯერ მეტი მანქანა და მოწყობილობა დამზადდა, ვიდრე ომამდელ 1940 წელს.

თვალსაჩინო წარმატებებია მოპოვებული ტრანსპორტის განვითარებასა და მშენებლობაში. ყოველწლიურად იზრდება მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის ტვირთბრუნვა ჩვენი თვალუწვდენი ქვეყნის არტერიებით — რკინიგზებით, საზღვაო, სამდინარო გზებითა და არხებით, გზატკეცილებით. ახლა ყველა სახეობის ტრანსპორტს აქვს მძლავრი ტექნიკური ბაზა. წლითიწლობით იზრდება სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო, კულტურულ-საყოფაცხოვრებო საწარმოებისა და დაწესებულებათა და საცხოვრებელი სახლების სამშენებლო სამუშაოთა მოცულობა. მშენებელი ორგანიზაციები აღჭურვილია დიდი წარმადობის მანქანებითა და მექანიზმებით.

მძიმე მანქანათმშენებლობის განვითარებაში მოპოვებულმა წარმატებებმა მოამზადა პირობები სახალხო მოხმარების საგნების წარმოების მკვეთრი აღმავლობისათვის. კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ დასახეს მსუბუქი და კვების მრეწველობის დაჩქარებული განვითარების ფართო პროგრამა იმ ვარაუდით, რომ ორი-სამი წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად გადიდდეს ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის უზრუნველყოფა მასობრივი მოხმარების სასურსათო და სამრეწველო საქონლით. ეს პროგრამა განუხრელად ხორციელდება, და ჩვენი ქვეყნის მშრომელები უკვე თვალნათლივ ხედავენ იმ ღონისძიებათა პირველ შედეგებს, რომლებსაც პარტია და მთავრობა ახორციელებენ. 1953 წელს, განსაკუთრებით წლის მეორე ნახევარში, მრეწველობის ის დარგები, რომლებიც სახალხო მოხმარების საგნებს უშვებენ, უფრო სწრაფი ტემპით ვითარდებოდა, ვიდრე 1952 წელს. თუ ამ დარგების პროდუქცია 1952 წელს 10,5 პროცენტით გადიდდა, 1953 წლის მეორე ნახევარში იგი გადიდდა უკვე 14 პროცენტით. ამჟამად დაწყებულია მრავალი ასეული საფეიქრო და ტყავ-ფეხსაცმლის ფაბრიკის, აგრეთვე კვების მრეწველობის საწარმოთა მშენებლობა. მარტო 1953 წელს მწყობრში ჩადგა დაახლოებით 300 ახალი საწარმო, რომლებიც უშვებენ სახალხო მოხმარების საქონელს. ფართოვდება და უახლესი მოწყობილობით აღიჭურვება მსუბუქი და კვების მრეწველობის მოქმედი საწარმოები.

ისახავს რა ამოცანად სოციალისტური მრეწველობის შემდგომ ყოველმხრივ განვითარებას, პარტია ყველა ღონისძიებას იღებს იმისათვის, რომ გამოვლინებულ და გამოყენებულ იქნას შინაგანი რეზერვები, რომლებიც ჩვენი მრეწველობის წიაღში მოიპოვება. ჩვენში კიდევ არის ისეთი საწარმოები და მრეწველობის მთელი რიგი დარგებიც კი, რომლებიც ჩამორჩებიან, სავეგმო დავალებებს ვერ ასრულებენ. ბევრ შემთხვევაში ცუდად იყენებენ უმდიდრეს ახალ ტექნიკას, ჯერ კიდევ დიდია მოწყობილობის მოცდენა. ჯერაც არ ექცევა საკმაო ყურადღება პროდუქციის ხარისხს. ცოტა როდია ისეთი საწარმოები, რომლებიც ვერ ასრულებენ შრომის ნაყოფიერების ზრდისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების დავალებებს. ბევრ საწარმოში უყაირათოდ, მფლანგველურად იყენებენ საწარმოო ფართობებს. სამეურნეო ხელმძღვანელთა შორის ჯერ კიდევ გვყავს ჩამორჩენილი, დახავსებული ადამიანები, რომლებიც ემღაუჭებიან ძველს, ღრომოჭმულს და თავის მოვალეობად არ მიაჩნიათ ის, რომ ყოველი ღონისძიებით დანერგონ მოწინავე, პროგრესული, აქტიურად დაუჭირონ მხარი წარმოების ნოვატორებს. აღმოვფხვრათ ყველა ეს ნაკლი, ავიყვანოთ ჩამორჩენილი საწარმოები მოწინავეთა დონემდე — ნიშნავს იმას, რომ ავამოქმედოთ ჩვენი მრეწველობის მნიშვნელოვანი შინაგანი რეზერვები და ამით უზრუნველვყოთ ყველა მისი დარგის ახალი მძლავრი აღმავლობა.

კომუნისტური პარტია ღრმად დარწმუნებულია, რომ ჩვენი სახელოვანი მუშათა კლასი და ჩვენი გამოცდილი, გაზრდილი ინჟინერ-ტექნიკური კადრები კიდევ უფრო ფართოდ გააჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას იმ ახალი უდიდესი ამოცანების გადაჭრისათვის, რომლებიც დასახულია მრეწველობის, ტრანსპორტისა და მშენებლობის წინაშე, შრომის ნაყოფიერების შემდგომი გადიდებისათვის, თვითღირებულების შემცირებისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, ყველა ჩვენი საშუალებისა და შესაძლებლობის უფრო ეკონომიური და გონივრული გამოყენებისათვის.

სერიოზულ წარმატებებს მიაღწია ჩვენმა ქვეყანამ სოფლის მეურნეობის დარგში. სავსებით აღდგენილია ომის პერიოდში დანგრეული კოლმეურნეობები, მანქანა-ტრაქტორთა სადგურები და საბჭოთა მეურნეობები. არა მარტო მივაღწიეთ, არამედ კიდევაც გადავაჭარბეთ ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესი ფართობებისა და მოსავლიანობის ომამდელ ოდენობას. მაგრამ პარტია ახალ ღონისძიებებს სახავს სოფლის მეურნეობის განვითარების არა ამ უდავო და დიდ წარმატებათა მიხედვით, არამედ მშრომელების განუწყვეტლივ მზარდ მატერიალურ მოთხოვნილებათა გათვალისწინებით. თუ არ მივაღწიეთ სოფლის მეურნეობის შემდგომ მკვეთრ აღმავლობას, არ შეიძლება სრულად უზრუნველვყოთ სურსათის სიუხვე და ნედლეულით მოვამარაგოთ ჩვენი სწრაფად მზარდი მსუბუქი და კვების მრეწველობა. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილებასა და პარტიისა და მთავრობის შემდგომ გადაწყვეტილებებში სოფლის მეურნეობის საკითხების შესახებ შემუშავებულია სოციალისტური სოფლის მეურნეობის ყველა დარგის, პირველ რიგში მეცხოველეობის და კარტოფილისა და ბოსტნეულის წარმოების დაჩქარებული განვითარების საბრძოლო, კონკრეტული პროგრამა. ამ პროგრამის განხორციელება მთელი პარტიის, მთელი საბჭოთა ხალხის უმნიშვნელოვანესი საქმეა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის შემდეგ ნახევარი წელიწადი გავიდა, — ეს დიდი დრო არ არის. მაგრამ ამ მოკლე ხანშიც ბევრი რამ გაკეთდა. კიდევ უფრო გაიზარდა და განმტკიცდა სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. 1953 წელს სოფლის მეურნეობამ მიიღო 139 ათასი საერთო დანიშნულების ტრაქტორი (15-ძალიანზე გადაყვანით), 18 ათასი სათოხნი ტრაქტორი, 41 ათასი მარცვლეულის კომბაინი, 69 ათასი სატვირთო ავტომობილი, ორ მილიონზე მეტი ნიადაგის დასამუშავებელი იარაღი, სათესი, მოსავლის ასაღები და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანები, 6 მილიონი ტონა მინერალური სასუქები. ახლა მთელი საქმე ის არის, რომ სწორად, ყაირათიანად გამოვიყენოთ მძლავრი ტექნიკა. გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს რა კადრებს, პარტიამ მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში კოლმეურნეობათა მომსახურებისათვის გაგზავნა 100 ათასზე მეტი აგრონომი და ზოოტექნიკოსი, ბევრი ინჟინერი და ტექნიკოსი, რომელთაც შეუძლიათ მოაწყონ განუწყვეტლივ მზარდი მანქანა-ტრაქტორთა პარკის სწორად გამოყენება.

მაგრამ პარტიას ყოველივე ეს მხოლოდ პირველ ნაბიჯებად მიაჩნია სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის დიად საყოველთაო-სახალხო საქმეში. ჩვენში მტს-ების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაობას ჯერ კიდევ ძალიან ბევრი ნაკლი ახასიათებს, ბევრია გამოუყენებელი რეზერვი. მაგალითად, საკმარისია ითქვას, რომ მარტო ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთ, სამხრეთ-აღმოსავლეთ და სხვა რაიონების ყამირი და ნასვენი მიწების ათვისებით, — ეს მუშაობა კი პარტიამ და მთავრობამ უკვე დაიწყეს, — შესაძლებლობა გვაქვს მარცვლეულ კულტურების ნათესი გავადიდოთ რამდენიმე მილიონი ჰექტარით. ამ საქმეს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. მარცვლეულის მეურნეობა მთელი სასოფლო-სამეურნეო წარმოების საფუძველია: რაც უფრო მეტ მარცვლეულს მოვიყვანთ, მით უფრო მეტი გვექნება არა მარტო პური, არამედ ხორცი, ერბო-კარაქი და მეცხოველეობის სხვა პროდუქტებიც.

კომუნისტური პარტია ღრმად დარწმუნებულია, რომ ჩვენი სახელოვანი კოლმეურნე გლეხობა, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკები ყოველ ღონეს იხმარენ, რათა მოკლე ვადაში აამოქმედონ სოციალისტური სოფლის მეურნეობის მთელი რეზერვები, აიყვანონ ჩამორჩენილი რაიონები და კოლმეურნეობები მოწინავეთა დონემდე, მიაღწიონ მინდვრების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ისეთ საერთო აღმავლობას, რომ აყვავდეს უკლებლივ ყველა კოლმეურნეობა, რომ ყველა კოლმეურნე უზრუნველყოფილი, შეძლებული ადამიანი გახდეს, რომ ჩვენს ქვეყანაში უხვად იყოს კვების ყველა პროდუქტი ქალაქების მზარდი მოსახლეობისათვის, ყველა სახეობის ნედლეული მსუბუქი მრეწველობისათვის.

რა მიზანს ისახავს კომუნისტური პარტია, როცა იბრძვის მთელი საზოგადოებრივი წარმოების — როგორც სამრეწველო, ისე სასოფლო-სამეურნეო წარმოების — განუწყვეტელი ზრდისათვის? ეს მიზანია საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის შემდგომი განუხრელი გაუმჯობესება, მის მუდმივად მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა სრული დაკმაყოფილება. ამ მიზნის განუხრელი განხორციელება პარტიისა და მთავრობის მთელი მოღვაწეობის უმაღლესი კანონია, კომუნისტური მშენებლობის პროგრამის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია. ჩვენ ვაშენებთ და ვაფართოებთ ქარხნებს, ფაბრიკებს, ელექტროსადგურებს, გაგვყავს რკინიგზის ახალი მაგისტრალები, განვამტკიცებთ კოლმეურნეობებს, ვაიარაღებთ სოფლის მეურნეობას უახლესი, უაღრესად მოწინავე ტექნიკით, ვაბანდებთ ყოველივე ამისთვის უდიდეს სახსრებს, რათა საბოლოო ანგარიშით, მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენცია — ყველა საბჭოთა ადამიანი უკეთ ცხოვრობდეს, რომ ჩვენი ხალხის მატერიალური კეთილდღეობა და კულტურული დონე წლითიწლობით, დღითიდღე მაღლდებოდეს.

ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის საერთო ზრდის საფუძველზე განუწყვეტლივ მატულობს მშრომელთა შემოსავალი. განუხრელად იზრდება მუშა-მოსამსახურეთა რეალური ხელფასი. ჩვენში სისტემატურად, წლითიწლობით მცირდება სამრეწველო და სასურსათო საქონლის სახელმწიფო საცალო ფასები. იზრდება მოსახლეობისათვის შეღავათები და სხვა დახმარება სახელმწიფო ბიუჯეტიდან — სოციალური დაზღვევისა და სოციალური უზრუნველყოფის დახმარება და პენსიები, დახმარება მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისადმი, უფასო სამედიცინო დახმარება, უფასო სწავლება, კვალიფიკაციის ამაღლება და სხვ. მუშა-მოსამსახურეთა ფულადი და რეალური ხელფასის ზრდასთან ერთად მატულობს გლეხთა შემოსავალი. 1953 წელს შემცირდა სასოფლო-სამეურნეო გადასახადი და კოლმეურნეთა პირადი მეურნეობიდან სავალდებულო ჩაბარების ნორმები, გადიდებულია სოფლის მეურნეობის პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილის დასამზადებელი და შესასყიდი ფასები. კოლმეურნეებს მთლიანად მოეხსნათ წარსული წლების სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ნარჩენი, ჩამოეწერათ სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტებისა და კარტოფილის ჩაბარების წარსული წლების დავალიანება. კოლმეურნეობებს ჩამოეწერათ კარტოფილისა და ბოსტნეულის ჩაბარების წარსული წლების დავალიანება. ყოველივე ამან ხელი შეუწყო კოლმეურნე გლეხობის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებას. მარტო კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეების ეკონომიური წახალისების ღონისძიებათა, აგრეთვე საგადასახადო პოლიტიკის დარგში ღონისძიებათა განხორციელებით კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა შემოსავალი 1953 წელს 13 მილიარდი მანეთითა და მეტით გაიზარდა.

სისტემატურად ფართოვდება საქონელბრუნვა. 1953 წელს სავაჭრო ქსელს წლიური გეგმის დამატებით გადაეცა 33 მილიარდი მანეთის საქონელი. მარტო სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის ხაზით 1953 წელს მოსახლეობას მიეყიდა 21 პროცენტით მეტი საქონელი, ვიდრე 1952 წელს. განსაკუთრებით გაიზარდა ისეთი პროდუქტებისა და საქონლის გაყიდვა, როგორიც არის ხორცი, ერბო-კარაქი, ყველი, შაქარი, ბოსტნეული, აბრეშუმის ქსოვილები, მზა ტანსაცმელი, ტყავის ფეხსაცმელი, ავეჯი, საკერავი მანქანები, საათები, პატეფონები, რადიომიმღებები, ტელევიზორები, ველოსიპედები, მოტოციკლები და მსუბუქი ავტომობილები. განუწყვეტლივ დიდდება მასობრივი მოხმარების საქონლის წარმოება. პარტია და მთავრობა ახორციელებენ ღონისძიებებს იმისათვის, რომ იზრდებოდეს და ფართოვდებოდეს მაღაზიებისა და სხვა სავაჭრო საწარმოების ქსელი. კომუნისტური პარტია ამოცანად ისახავს — და ეს ამოცანა უთუოდ განხორციელდება — გადაჭრით გააუმჯობესოს საბჭოთა ვაჭრობის ორგანიზაცია და მომხმარებლის მომსახურება, მიაღ-

(გაგრძელება მე-2 გვერდზე)

# მ ი მ ა რ თ ვ ა

## საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა

### ყველა ამომრჩეველს, მუშებს, გლეხებს, საბჭოთა ინტელიგენციას, საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მეომრებს

(გაგრძელება)

წიოს ისეთ მდგომარეობას, რომ ორი-სამი წლის შემდეგ თვითეულ ქალაქსა და თვითეულ სასოფლო რაიონში საბჭოთა ადამიანებს შეეძლოთ იყიდონ ყველა საჭირო საქონელი.

კომუნისტური პარტიის მუდმივი საზრუნავია მშრომელებისათვის საცხოვრებელი სახლების მშენებლობა. ჩვენში ჯერ კიდევ არის ბინების ნაკლებობა. ეს გასაგებიც არის: მრეწველობის განუწყვეტელი ზრდის გამო ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების მოსახლეობა წლითიწლობით მატულობს. ომისშემდგომ პირველ წლებში უწინარეს ყოვლისა უნდა გვეშენებინა მტრის მიერ გადამწვარი ქალაქები, მუშათა დაბები და სოფლები იმ რაიონებში, რომლებმაც ოკუპაცია განიცადეს — იქ მილიონობით ადამიანმა დაკარგა სახლკარი და მიწურებს აფარებდა თავს. თუ რა გაკეთდა და კეთდება ჩვენს ქვეყანაში საბინაო მშენებლობის დარგში, ამას მოწმობენ ციფრები: ომისშემდგომ წლებში ქალაქებსა და მუშათა დაბებში აშენდა 155 მილიონ კვადრატულ მეტრზე მეტი საცხოვრებელი ფართობი მუშა-მოსამსახურეებისათვის, ხოლო სოფელ ადგილებში — ოთხ მილიონამდე სახლი კოლმეურნეებისა და სოფლის ინტელიგენციისათვის. საბჭოთა მთავრობა სისტემატურად ადიდებს ასიგნობებს საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის. შარშან ქალაქებისა და მუშათა დაბების მოსახლეობამ მიიღო 28 მილიონ კვადრატულ მეტრზე მეტი საცხოვრებელი ფართობი, ხოლო კოლმეურნეებმა და სოფლის ინტელიგენციამ — 400 ათასზე მეტი ახალი საცხოვრებელი სახლი. ბევრი რამ გაკეთდა. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ შეიძლება მიღწეულს დავჯერდეთ. კიდევ უფრო ფართოდ უნდა გაჩაღდეს საბინაო მშენებლობა 1954 წელს და შემდგომ წლებში. კომუნისტური პარტია მტკიცედ და თანმიმდევრულად იბრძოლებს მშრომელთა საბინაო პირობების შემდგომი გაუმჯობესებისათვის. ყველგან — ჩვენი ქვეყნის ქალაქებსა და სოფლებში შენდება სკოლები, საავადმყოფოები, საბავშვო და კულტურული დაწესებულებანი. 1953 წელს კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობაში კაპიტალდაბანდებათა მოცულობა 22 პროცენტით გადიდდა წინა წელთან შედარებით. წლითიწლობით დიდდება და კვლავაც გადიდდება სახელმწიფო ხარჯები ჯანმრთელობის დაცვის, ქალაქებისა და მუშათა დაბების კეთილმოწყობისათვის, საავადმყოფოების, სამშობიარო სახლების, დისპანსერების, სანატორიუმებისა და მშრომელთა დასასვენებელი სახლების ქსელის გაფართოებისათვის, მოსახლეობის სამედიცინო და საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებისათვის.

კომუნისტური პარტია კვლავაც დაუცხრომლად იბრძოლებს ხალხის ცხოვრების შემდგომი გაუმჯობესებისათვის, მტკიცედ და თანმიმდევრულად განახორციელებს მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების პროგრამას, რომელიც მან დასახა. პარტიას ეს თავის წმიდა მოვალეობად მიაჩნია.

პარტია მუდამ ზრუნავს სოციალისტური კულტურის აყვავებისათვის, ჩვენი ხალხის სულიერი სიმდიდრის გამრავლებისათვის, სახალხო განათლების, მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნების შემდგომი განვითარებისათვის. კულტურული და განათლებული ადამიანი გახადოს ყველა მუშა და ყველა გლეხი — აი რა ამოცანას ისახავს კომუნისტური პარტია.

ჩვენს ქვეყანაში განხორციელებულია საყოველთაო სავალდებულო შვიდწლიანი განათლება. მეხუთე ხუთწლედის დამლევისათვის დამთავრდება შვიდწლიანი განათლების ნაცვლად საყოველთაო საშუალო განათლების შემოღება მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებში, საოლქო, სამხარეო და უდიდეს სამრეწველო ცენტრებში, იმ ვარაუდით, რომ შემდგომ ხუთწლედში საყოველთაო საშუალო განათლება განხორციელდეს მთელ ჩვენს ქვეყანაში. წლითიწლობით დიდდება სახალხო განათლების ხარჯები. ახლა ჩვენი ქვეყნის ყველა სახეობის სწავლებაში ჩაბმულია 57 მილიონზე მეტი კაცი. მარტო უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში სწავლობს სამ მილიონზე მეტი კაცი.

პარტიას თავის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიაჩნია ის, რომ უზრუნველყოს მოწინავე საბჭოთა მეცნიერების აყვავება და შემდგომი განუწყვეტელი განვითარება. ჩვენმა მეცნიერებმა, რომლებსაც შექმნილი აქვთ ყველა პირობა ნაყოფიერი შემოქმედებითი შრომისათვის, გაამდიდრეს მეცნიერება მთელი რიგი უდიდესი აღმოჩენებით ცოდნის ყველა დარგში. ისინი დაეუფლნენ ატომის ენერგიის მიღების მეთოდებს, და ამით მოსპეს ამერიკის შეერთებული შტატების მონოპოლია ამ დარგში. წარმატებით ხორციელდება ხალხის ინტერესებისათვის ჩვენი სამშობლოს უდიდესი ბუნებრივი რესურსების გამოყენების ბევრი ამოცანა. ყოველივე ეს უდავოა. მაგრამ ამასთან ერთად საბჭოთა მეცნიერების წინაშე ჯერ კიდევ ბევრი გადაუჭრელი ამოცანა დგას, უწინარეს ყოვლისა სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის დაჩქარების დარგში. მოუწოდებს რა საბჭოთა მეცნიერებს გადაჭრან ეს ამოცანები, პარტია იბრძოლებს იმისათვის, რომ ყოველმხრივ განამტკიცოს და გააფართოოს მეცნიერებისა და პრაქტიკის შემოქმედებითი თანამშრომლობა და მჭიდრო კავშირი, მეცნიერების ყველა უახლესი მიღწევა მოახმაროს მრეწველობის, სოფლის მეურნეობის განვითარებას, ჩვენი ხალხის ცხოვრების შემდგომ განუწყვეტელ გაუმჯობესებას.

საბჭოთა სოციალისტურ წყობილებას უდიდესი, ჭეშმარიტად დაუშრეტელი შესაძლებლობანი მოეპოვება ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი, კიდევ უფრო მძლავრი განვითარებისათვის, ხალხის კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესებისათვის. საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას თავის ძირითად და მთავარ ამოცანად მიაჩნია მთლიანად გამოიყენოს ეს შესაძლებლობანი, რათა უზრუნველყოს საბჭოთა საზოგადოების შემდგომი ყოველმხრივი პროგრესი, ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალების განუწყვეტელი და სწრაფი განვითარება. რაც უფრო განავითარებს საბჭოთა ხალხი ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალებს, რაც უფრო მეტ პროდუქციას მოგვცემს ჩვენი მრეწველობა და ჩვენი სოფლის მეურნეობა, მით უფრო მალე გადავწყვეტთ პროდუქტების სიუხვის შექმნის დიად ამოცანას და უზრუნველვყოფთ კომუნიზმის გამარჯვებას ჩვენს ქვეყანაში.

ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების წარმატებით აშენების უმნიშვნელოვანესი პირობაა ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების ბურჯის — საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს ძლიერების განუწყვეტელი ზრდა. ჩვენი სახელმწიფოს ძალისა და სიმტკიცის საფუძველია მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის ურყევი კავშირი, მთელი საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, სსრ კავშირის ხალხთა ურღვევი მეგობრობა.

კომუნისტურმა პარტიამ გამოჭედა მუშათა კლასის მტკიცე კავშირი მშრომელ გლეხობასთან, გადააქცია იგი იმ გადამწყვეტ ძალად, რომელმაც უზრუნველყო ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება, სოციალიზმის აშენება ჩვენს ქვეყანაში. ეს დიადი ძალა უზრუნველყოფს ჩვენს ახალ და ახალ წარმატებებს კომუნიზმის მშენებლობის სახელოვან გზაზე. მუშათა და გლეხთა კავშირის შემდგომი განმტკიცება იმის პირობაა, რომ ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელნი კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმონ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო. ეს კავშირი ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს ძალისა და ძლიერების განმტკიცების საფუძველია.

თავისი ეროვნული პოლიტიკით კომუნისტურმა პარტიამ აღმოფხვრა შუღლი და მტრობა ჩვენი ქვეყნის ხალხებს შორის, მჭიდროდ დარაზმა ისინი ერთიან ძმურ ოჯახად. გამოჭედა თანასწორუფლებიან ხალხთა ურღვევი მეგობრობა — საბჭოთა მრავალეროვანი სახელმწიფოს უძლეველი ძალების წყარო, მოძმე საბჭოთა რესპუბლიკების ყველა წარმატების პირობა. ეს მეგობრობა იშვა და განმტკიცდა ჩვენი სამშობლოს ხალხთა ერთობლივ ბრძოლაში უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ, მეფის თვითმპყრობელობისა და კაპიტალისტებისა და მემამულეების ბატონობის წინააღმდეგ. ეს მეგობრობა განმტკიცებულია სსრ კავშირის ხალხთა სისხლით, რომელიც მათ დაღვარეს სამოქალაქო ომისა და დიდი სამამულო ომის წლებში. ეს მეგობრობა შედუღაბებულია საერთო შემოქმედებითი შრომით და ურთიერთდახმარებით ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის წლებში. ურღვევი და ურყევია ეს დიადი, ძმური მეგობრობა. და მსოფლიოში არ არსებობს ძალა, რომელსაც შეეძლოს მისი დარღვევა! სსრ კავშირის ხალხთა ამ ურღვევი მეგობრობის ერთ-ერთი მკაფიო გამოვლინებაა რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავი, რომელსაც მიმდინარე წელს აღვნიშნავთ როგორც უკრაინელი, რუსი და საბჭოთა კავშირის ყველა სხვა ხალხის დიდ ეროვნულ დღესასწაულს.

კომუნისტურ პარტიას თავის წმიდა მოვალეობად მიაჩნია ის, რომ კვლავაც დაუცხრომლად განამტკიცოს ხალხთა მეგობრობა — ჩვენი სოციალისტური მრავალეროვანი სახელმწიფოს ძლიერებისა და უძლეველი ძალის ეს საფუძველი.

კომუნისტურ პარტიას და საბჭოთა მთავრობას წმიდათაწმიდად მიაჩნიათ ჩვენი ხალხის სურვილი — უზრუნველყოს მშვიდობიანი შრომა და მშრომელთა ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის განუწყვეტელი ამაღლება. ამიტომ პარტია და მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობენ იმისათვის, რომ არ დაუშვან ახალი ომი, რომ ხალხები ცხოვრობდნენ მშვიდობით, რომ შენელდეს საერთაშორისო დაძაბულობა და დამყარდეს ნორმალური ურთიერთობა სახელმწიფოებს შორის.

ჩვენი საგარეო პოლიტიკა ნათელი და გარკვეულია. ეს არის ყველა ხალხის მშვიდობისა და მეგობრობის პოლიტიკა. იგი გამოაცხადა ჩვენი პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებელმა დიდმა ლენინმა, რომელმაც გვიჩვენა, რომ შესაძლებელია ორი სხვადასხვა ეკონომიური სისტემის — სოციალისტური და კაპიტალისტური სისტემების ხანგრძლივი მშვიდობიანი თანაარსებობა. კაპიტალიზმის ბანაკის მხოლოდ ყველაზე ბეც პოლიტიკოსებს შეუძლიათ მშვიდობისადმი ჩვენი განუხრელი და გულწრფელი მისწრაფება შეაფასონ როგორც საბჭოთა სახელმწიფოს სისუსტის ნიშანი. გაანადგურა რა ჰიტლერული გერმანია, რომელმაც ევროპის ბევრი ქვეყანა დაიმონა, საბჭოთა კავშირმა დაამტკიცა, რომ მას შეუძლია დაიცვას საკუთარი თავი და გამანადგურებელი პასუხი გასცეს ყოველ აგრესორს.

ომისშემდგომ წლებში ჩვენი ქვეყანა კიდევ უფრო ძლიერი და უძლეველი გახდა. მას აქვს ყველაფერი, რაც საჭიროა იმისათვის, რომ დაიცვას ჩვენი ხალხის მშვიდობიანი შრომა და ჭკუა ასწავლოს ყველას, ვინც გაბედავს ხელყოს ჩვენი თავისუფლება და დამოუკიდებლობა. ჩვენ არ გვაშინებს არავითარი აგრესორის მუქარა, მაგრამ მტკიცედ და თანმიმდევრულად ვიცავთ მშვიდობას ჩვენი ხალხისა და მთელი დედამიწის ხალხთა ინტერესებისათვის. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ არ არსებობს თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის ისეთი სადავო საკითხი, რომლის გადაჭრა არ შეიძლებოდეს მშვიდობიანი გზით.

საბჭოთა კავშირის სამშვიდობო საგარეო პოლიტიკა დადასტურებულია მთელი მისი საქმეებით. ახლა მთელი მსოფლიო ხედავს, თუ რა კოლოსალურად განსხვავდება ურწმუნობისა და ომის ფსიქოზის ატმოსფერო, რომელსაც ხელოვნურად ქმნიან კაპიტალისტურ ქვეყნებში, მშვიდობიანი, შემოქმედებითი აღმშენებლობითი შრომის ვითარებისაგან, სიმშვიდისა და მტკიცე რწმენის ატმოსფეროსაგან, რომელიც ესოდენ დამახასიათებელია სოციალიზმის ქვეყნისათვის. ყველა ხედავს, რომ საბჭოთა ადამიანების მთავარი საზრუნავი და ყველაზე მხურვალე სურვილია იცხოვრონ მშვიდობით და მეგობრობით ყველა ხალხთან. ამაში შეიძლება დარწმუნდეს ყოველი ობიექტური, მიუკერძოებელი ადამიანი,. საკმარისია მხოლოდ ნახოს ჩვენი ქალაქები და სოფლები. საბჭოთა ხალხის შთაგონებული მშვიდობიანი შრომა. ჩვენს სამშობლოს მშვიდობის მქადაგებელსა და მედროშეს უწოდებს ყველა ქვეყნის მილიონობით ადამიანი. ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობის დროშა წმიდაა ჩვენთვის, საბჭოთა ადამიანებისათვის! ჩვენ მაღლა გვიჭირავს და კვლავაც მაღლა დავიჭერთ ამ დიად, კეთილშობილურ დროშას.

მშვიდობისმოყვარე საბჭოთა სახელმწიფოსთან მჭიდრო ძმური ერთიანობით იბრძვიან მშვიდობისათვის ევროპისა და აზიის სახალხო-დემოკრატიული სახელმწიფოები. მშვიდობისა და დემოკრატიის ბანაკის მძლავრი ძალა გახდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა. საბჭოთა კავშირთან ერთად იზრდება და მტკიცდება მთელი დემოკრატიული, მშვიდობისმოყვარე ბანაკი, იზრდება და ფართოვდება ხალხთა მოძრაობა მშვიდობის დასაცავად. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია კვლავაც მთელ თავის ძალღონეს მოახმარს ბრძოლას მშვიდობისათვის, მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის მძლავრი ბანაკის შემდგომი განმტკიცებისათვის, იმისათვის, რომ განამტკიცოს საბჭოთა ხალხის მეგობრობა და თანამშრომლობა დიდ ჩინელ ხალხთან, სახალხო დემოკრატიის ყველა ქვეყნის მშრომელებთან, ყოველი ღონისძიებით განავითაროს საბჭოთა კავშირის ეკონომიური ურთიერთობა და დაამყაროს მეგობრული დამოკიდებულება დედამიწის ყველა ქვეყანასთან.

ფხიზლად დგას რა ხალხის ინტერესების, მისი მშვიდობიანი შრომის სადარაჯოზე, კომუნისტურ პარტიას არ შეუძლია არ გაითვალისწინოს, რომ საზღვარგარეთ არიან რეაქციული იმპერიალისტური ძალები, რომლებიც ცდილობენ გაამწვაონ და გააძლიერონ საერთაშორისო დაძაბულობა, გააჩაღონ ახალი ომი. ამიტომ, მტკიცედ და თანმიმდევრულად ახორციელებს მშვიდობის პოლიტიკას, მთელი ძალღონით იცავს რა ყველა ხალხისათვის დიად და წმიდა საქმეს — მშვიდობის საქმეს, პარტიას საჭიროდ მიაჩნია დაუცხრომლად სრულყოს და განამტკიცოს საბჭოთა სახელმწიფოს შეიარაღებული ძალები, რათა უზრუნველყოს ჩვენი სამშობლოს უშიშროება.

საბჭოთა სოციალისტურმა წყობილებამ, სამუდამოდ მოსპო რა ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია, ხელისუფლების სათავეში ჩააყენა მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და მშრომელი ინტელიგენციის საუკეთესო ადამიანები, შექმნა მთელი საბჭოთა საზოგადოების ურყევი მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა. ეს წყობილება მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილებაა. საბჭოთა სახელმწიფოს მართვაში მონაწილეობენ ხალხის უაღრესად ფართო მასები. ჩვენი ხალხი თავის საუკეთესო შვილებს ირჩევს სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში — სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში.

კომუნისტური პარტია თავის ამოცანად ისახავს დაუცხრომლად განავითაროს ჩვენი საბჭოთა, სოციალისტური დემოკრატია, მიაღწიოს იმას, რომ მილიონობით მშრომელი კიდევ უფრო ფართოდ და აქტიურად იღებდეს მონაწილეობას სახელმწიფოს მართვაში. პარტია შეურიგებლად იბრძვის და კვლავაც შეურიგებლად იბრძოლებს საბჭოთა აპარატის ცალკეულ რგოლებში ბიუროკრატიზმისა და საქმის გაჭიანურების ყოველი გამოვლინების წინააღმდეგ, მშრომელთა საჭიროებისა და მოთხოვნილებისადმი უყურადღებობის, უგულებელყოფის ფაქტების წინააღმდეგ, დაუცხრომლად განამტკიცებს სოციალისტურ კანონიერებას, რომელიც იცავს ჩვენი სამშობლოს მოქალაქეთა წმიდა და ურყევ უფლებებს, რომლებიც ჩაწერილია სსრ კავშირის კონსტიტუციაში.

ამხანაგო ამომრჩევლებო!

საბჭოთა სახელმწიფოს ოცდათექვსმეტი წლის არსებობამ უცილობლად და თვალნათლივ დაგვანახვა, თუ რა უდავო, მსოფლიო-ისტორიული უპირატესობანი აქვს სოციალიზმს კაპიტალიზმთან შედარებით. სოციალიზმი — ეს არის საწარმოო ძალების აყვავება, ეს არის თავისუფალი და მშვიდობიანი შრომა თავისთვის, მთელი საზოგადოებისათვის, ეს არის ხალხის კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესება, ხალხთა თანასწორუფლებიანობა და მეგობრობა, იგი მტკიცე და ხანგრძლივი მშვიდობისათვის თანმიმდევრული ბრძოლაა. კაპიტალიზმი — ეს არის ეკონომიური კრიზისები, მშრომელთა ულმობელი მხეცური ექსპლოატაცია, უმუშევრობის საშინელება, სიღატაკე და შიმშილი საზოგადოების ერთ პოლუსზე, ფუფუნება და ზღაპრული მოგება მეორე პოლუსზე; კაპიტალიზმი — ეს არის ეროვნული ჩაგვრის, ხალხთა შორის მტრობის და ომების გაჩაღების პოლიტიკა.

ყველა ხედავს, თუ როგორ ემატება ჩვენს ქვეყანას ახალი, სისხლსავსე ცხოველმყოფელი ძალები, როგორ დაძლია და გადალახა მან ომით წარმოშობილი უზომო სიძნელეები, როგორ უმჯობესდება ხალხის ცხოვრება, რა მტკიცედ მივდივართ წინ აყვავების გზით. რას დაუპირისპირებს ამას კაპიტალისტური სამყარო? იგი ეკონომიური დაქვეითების და გაჭირვებისა და სიღატაკის შემდგომი გამწვავების მძიმე პერსპექტივებს უქადის ხალხებს. სამხედრო მრეწველობის ვერავითარი ხელოვნური გაბერვა ვერ იხსნის კაპიტალიზმის ქვეყნებს ეკონომიური კრიზისისაგან, რომელიც ულმობლად უახლოვდება მათ და რომლის ნიშნებიც სულ უფრო აშკარა და მრისხანე ხდება. მატულობს უმუშევრობა, იკვეცება მრეწველობის მშვიდობიანი დარგები. იქ განუწყვეტლივ იზრდება პირველი საჭიროების საქონლის ფასები, მატულობს გადასახადები, სულ უფრო ქვეითდება მშრომელთა ცხოვრების დონე. ძლიერდება შინაგანი რეაქცია, ყოველნაირად აღვივებენ ომის ფსიქოზს, რომელიც კოლოსალურ მოგებას აძლევს კაპიტალისტურ მონოპოლიებს.

ეყრდნობა რა საბჭოთა, სოციალისტური წყობილების დიად უპირატესობებს, საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას მტკიცე რწმენით მიჰყავს ჩვენი ქვეყანა კომუნიზმის სრული გამარჯვებისაკენ.

(დასასრული მე-3 გვერდზე)

# მ ი მ ა რ თ ვ ა

## საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა

### ყველა ამომრჩეველს, მუშებს, გლეხებს, საბჭოთა ინტელიგენციას, საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მეომრებს

(დასასრული)

მთელ თავის საქმიანობაში პარტია ხელმძღვანელობს მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის დიადი მოძღვრებით, ხელმძღვანელობს კომუნისტური პარტიის უკვდავი შემქმნელისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ბრძნული ანდერძით.

მიდის რა ლენინის მიერ ნაჩვენები გზით, პარტიამ ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, ი. ბ. სტალინის მეთაურობით, სოციალიზმის გამარჯვებამდე მიიყვანა ჩვენი სამშობლოს ხალხები. ახორციელებს რა ლენინის ანდერძს, პარტია განუწყვეტლივ განამტკიცებს საბჭოთა სახელმწიფოს, მუშათა და გლეხთა ურღვევ კავშირს, სსრ კავშირის ხალხთა დიად მეგობრობას, დაუცხრომლად ზრუნავს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის შემდგომი აყვავებისათვის, საბჭოთა ადამიანების ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებისათვის.

ჩვენს ქვეყანაში არის ყველაფერი, რაც საკმარისი და საჭიროა სრული კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის. მაგრამ ჩვენ ჯერ კიდევ გვაქვს გადაუჭრელი სამეურნეო ამოცანებიც. გვაქვს ზრდის ერთგვარი სიძნელეებიც. იმისათვის, რომ წარმატებით გადავჭრათ ჩვენი გადაუდებელი ამოცანები, დავძლიოთ ნაკლოვანებანი და სიძნელენი, საჭიროა კიდევ უფრო ფართოდ გავაჩაღოთ თვითკრიტიკა და განსაკუთრებით ქვემოდან კრიტიკა. კომუნისტური პარტია იბრძვის იმისათვის, რომ ყველა საბჭოთა ადამიანი გაბედულად და უშიშრად ამხილებდეს მუშაობის ნაკლოვანებებს, კიდევ უფრო აქტიურად ეხმარებოდეს პარტიას ამ ნაკლოვანებათა უფრო სწრაფად აღმოფხვრაში.

პარტიამ ჩვენი ქვეყანა მიიყვანა მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებამდე იმიტომ, რომ იგი, არის რა მშრომელთა მოწინავე რაზმი, მუდამ ეყრდნობოდა და ეყრდნობა ხალხის ნდობას, მილიონობით ადამიანის შემოქმედებითს აქტივობას. პარტიას დიდად სწამს ხალხის ძალა, მისი რევოლუციური ენერგია, იგი მჭიდროდ და განუყრელად არის დაკავშირებული ხალხთან. პარტიის, მთავრობისა და ხალხის დიადი ერთიანობა — აი ყველა ჩვენი გამარჯვების ცხოველმყოფელი წყარო, კომუნიზმის გზით ჩვენი მტკიცე წინსვლის საფუძველი.

ამ ერთიანობის მკაფიო გამოხატულებაა კომუნისტებისა და უპარტიოების საარჩევნო ბლოკი. ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში კომუნისტური პარტია გამოდის პროფესიულ კავშირებთან, კომკავშირთან და მშრომელთა სხვა ორგანიზაციებთან და საზოგადოებებთან ერთად. დეპუტატობის კანდიდატები საერთოა როგორც კომუნისტებისათვის, ისე უპარტიოებისათვის.

ყველა წინა არჩევნებში კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკი მუდამ იმარჯვებდა. ამ ბლოკის კანდიდატებისათვის ერთსულოვნად ხმის მიცემით ჩვენი ხალხი სრულ ნდობას უცხადებდა კომუნისტურ პარტიას, იწონებდა და მხარს უჭერდა მის პოლიტიკას.

კომუნისტურ პარტიას იმედი აქვს, რომ მომავალ არჩევნებში ყველა ამომრჩეველი ერთსულოვნად მისცემს ხმას კანდიდატებს, რომლებსაც კომუნისტები ასახელებენ უპარტიო მუშებთან, გლეხებთან, ინტელიგენციასთან ერთად, კვლავ გამოუცხადებს ნდობას პარტიას და მოიწონებს მის პოლიტიკას, რომელიც გამოხატავს ხალხის ძირეულ ინტერესებს.

სრული იმედი აქვს რა, რომ სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში ერთსულოვნად იქნებიან არჩეული კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატები, რომ ამომრჩევლებს ესმით პარტიის პოლიტიკა და იწონებენ მას, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს ყველა ამომრჩეველს — მუშებს, გლეხებს, საბჭოთა ინტელიგენციას, საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მეომრებს — კიდევ უფრო მჭიდროდ დარაზმონ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო კომუნიზმის მშენებლობის დიადი ამოცანების განხორციელებისათვის საბრძოლველად.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს ყველა კომუნისტს ხმა მისცენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის უპარტიო კანდიდატებს ისეთივე ერთსულოვნებით, როგორც კომუნისტ კანდიდატებს. კომუნისტურ პარტიას იმედი აქვს, რომ უპარტიო ამომრჩევლები ხმას მისცემენ დეპუტატობის კომუნისტ კანდიდატებს ისეთივე ერთსულოვნებით, როგორც უპარტიო კანდიდატებს.

კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებისათვის ხმის მიცემით ამომრჩევლები ხმას მისცემენ კომუნისტური პარტიის პოლიტიკას, მის მიერ დასახული ამოცანების განხორციელებას — ჩვენი სოციალისტური მრეწველობის შემდგომ აყვავებას, სოფლის მეურნეობის მკვეთრ აღმავლობას, ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის განუხრელ ამაღლებას, ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს ძლიერებისა და ძალის ყოველმხრივ განმტკიცებას და ახალ წარმატებებს მის ბრძოლაში მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის, ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის.

ამხანაგო ამომრჩევლებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მოგიწოდებთ 1954 წლის 14 მარტს ერთსულოვნად მიხვიდეთ საარჩევნო ყუთებთან. არ უნდა დარჩეს არც ერთი ამომრჩეველი, რომელიც არ გამოიყენებს თავის საპატიო უფლებას — აირჩიოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები. დაე 1954 წლის 14 მარტი გახდეს საბჭოთა კავშირის მშრომელთა საყოველთაო-სახალხო დღესასწაული, პარტიის, მთავრობისა და ხალხის მჭიდრო ერთიანობის ახალი, მძლავრი დემონსტრაცია.

### ყ ვ ე ლ ა ნ ი   ა რ ჩ ე ვ ნ ე ბ ზ ე!

ხმა მივცეთ კომუნისტებისა და უპარტიოების სახალხო ბლოკის კანდიდატებს!
გაუმარჯოს ჩვენს დიად სამშობლოს — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს!
გაუმარჯოს დიდ საბჭოთა ხალხს — კომუნიზმის მშენებელს!
გაუმარჯოს კომუნისტური პარტიის, საბჭოთა მთავრობისა და მთელი ხალხის ურღვევ ერთიანობას!
ლენინ — სტალინის დროშით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით — წინ, კომუნიზმის სრული გამარჯვებისაკენ!

**საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი**

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნები

### ახალგაზრდა ამომრჩეველთა დასახმარებლად

საბჭოთა ხალხი მიმდინარე წლის 14 მარტს, ისე როგორც წინა წლებში, გამოავლენს თავის ნებას და მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული საარჩევნო სისტემის საფუძველზე აირჩევს სსრ კავშირის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს — სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო წარმოადგენს საბჭოთა სახელმწიფოს საკანონმდებლო ორგანოს და ახორციელებს კომუნიზმის მშენებლობის დიად ამოცანებს, იცავს საგარეო სამშვიდობო პოლიტიკას.

გასაგებია, რომ საბჭოთა ხალხები ასეთი მნიშვნელოვანი ორგანოს შემადგენლობაში წარგზავნიან ყველაზე ერთგულ, მოწინავე და საქმიან ადამიანებს, ლენინ-სტალინის პარტიის იდეებისათვის მებრძოლ ადამიანებს.

უმაღლესი საბჭო ორი პალატისაგან შედგება — კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოსაგან. ორპალატიანი სისტემა საბჭოთა სახელმწიფოში მიზნად ისახავს ჩვენი ქვეყნის მშრომელთა საერთო ინტერესების დაცვასთან ერთად სსრ კავშირის ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა ერის სპეციფიკური, განსაკუთრებული თავისებურებების დაცვასაც.

კავშირის საბჭო და ეროვნებათა საბჭო სავსებით თანასწორუფლებიანი ორგანოები არიან, ისინი ირჩევიან საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით.

სსრ კავშირში არჩევნები არის საყოველთაო. ეს იმას ნიშნავს, რომ სსრ კავშირის ყველა მოქალაქეს, რომელსაც არჩევნების დღისათვის უკვე შეუსრულდა 18 წელი, დამოუკიდებლად რასობრივი და ეროვნული კუთვნილებისა, სქესისა, სარწმუნოებისა, განათლების ცენზისა, ბინადრობისა, სოციალური წარმოშობისა, ქონებრივი მდგომარეობისა და წარსული საქმიანობისა, უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს დეპუტატთა არჩევნებში, შეშლილებისა და იმ პირთა გარდა, რომელნიც სასამართლოს მიერ მსჯავრდადებულნი არიან საარჩევნო უფლებათა ჩამორთმევით.

საბჭოთა კავშირის ყოველი მოქალაქე, ზემოაღნიშნული წესის მიხედვით, 18 წლის ასაკიდან მონაწილეობს არჩევნებში, მაგრამ იმისათვის, რომ არჩეული იქნეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს წევრად, სსრ კავშირის მოქალაქე უნდა იყოს არა ნაკლებ 23 წლისა.

სსრ კავშირში არჩევნები თანასწორია. ყოველ მოქალაქეს — იქნება იგი მუშა, გლეხი თუ ინტელიგენტი — ერთი ხმა აქვს და თანასწორ საფუძველზე მონაწილეობს არჩევნებში.

დეპუტატთა არჩევნები პირდაპირია. ჩვენ ვირჩევთ არა ამომრჩევლებს, არამედ უშუალოდ დეპუტატებს, დაწყებული მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და საქალაქო საბჭოებით და დამთავრებული სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოთი.

კენჭისყრა დეპუტატთა არჩევნების დროს ფარულია. იგი ბიულეტენების მეშვეობით წარმოებს. ამომრჩეველი შედის საარჩევნო ბიულეტენების შესავსებად გამოყოფილ სპეციალურ ოთახში, კაბინაში, რის შემდეგაც იგი ბიულეტენს ჩაუშვებს საარჩევნო ყუთში, ურნაში.

დეპუტატობის კანდიდატებს საარჩევნო ოლქების მიხედვით აყენებენ საზოგადოებრივი ორგანიზაციები და მშრომელთა საზოგადოებანი.

დეპუტატობის კანდიდატს შეუძლია კენჭი იყაროს მხოლოდ ერთ საარჩევნო ოლქში. არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებულ ხარჯებს ჩვენს ქვეყანაში სახელმწიფო იხდის.

კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საარჩევნო ოლქები ოდენობით ერთმანეთს არ ემთხვევიან, ეს იმიტომ, რომ კავშირის საბჭოს საარჩევნო ოლქი იქმნება მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით (ერთი საარჩევნო ოლქი — ყოველ 300 ათას მცხოვრებზე), ხოლო ეროვნებათა საბჭოს საარჩევნო ოლქი ყალიბდება მოკავშირე სს რესპუბლიკებისა, ავტონომიური სს რესპუბლიკებისა, ავტონომიური ოლქებისა და ნაციონალური ოკრუგების მიხედვით, შემდეგი ნორმებით: თითოეულ მოკავშირე რესპუბლიკაში — 25 საარჩევნო ოლქი, თითოეულ ავტონომიურ რესპუბლიკაში — 11 საარჩევნო ოლქი, თითოეულ ავტონომიურ ოლქში — 5 საარჩევნო ოლქი და თითოეულ ნაციონალურ ოკრუგში — თითო საარჩევნო ოლქი. ყოველ საარჩევნო ოლქში ირჩევა მხოლოდ 1 დეპუტატი.

საბჭოთა ხალხები არჩევნებში ყოველთვის ერთსულოვნად უჭერენ მხარს კომუნისტებისა და უპარტიოების სახალხო ბლოკის კანდიდატებს. ასე მაგალითად, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მესამე მოწვევის შემადგენლობის არჩევისას კავშირის საბჭოს საარჩევნო ოლქებში დეპუტატობის კანდიდატთა სასარგებლოდ ხმა მისცა ხმის მიცემაში მონაწილე ამომრჩეველთა 99,73%-მა, ხოლო ეროვნებათა საბჭოს საარჩევნო ოლქებში კი 99,72%-მა. ასეთი შედეგები მიუღწეველი და წარმოუდგენელია ბურჟუაზიულ ქვეყნებში.

საბჭოთა სახელმწიფოში ხალხთა მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა ფაქტს წარმოადგენს, ამიტომ კომუნისტებისა და უპარტიოების სახალხო ბლოკი ურყევია.

საბჭოთა ხალხი მომავალ არჩევნებში ერთხელ კიდევ დაამტკიცებს თავის ერთგულებას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და დედა-სამშობლოსადმი — ხმას მისცემს კომუნისტებისა და უპარტიოების სახალხო ბლოკის კანდიდატებს.

დოც. **გ. ერემოვი**

## ლექციები და საუბრები ამომრჩევლებთან

გაცხოველებული მუშაობა მიმდინარეობს კავშირის საბჭოს № 43 და ეროვნებათა საბჭოს № 16 საარჩევნო უბანში მოთავსებულ აგიტპუნქტში. კვირაში ერთხელ, პარასკეობით, ტარდება აგიტსემინარი უბანში მომუშავე აგიტატორებისათვის. დღეისათვის ჩატარებულია 5 აგიტსემინარი. აგიტსემინარს ატარებენ საკმაოდ კვალიფიციური ლექტორები — დოც. ს. ჯორბენაძე, დოც. ი. მრევლიშვილი და სხვა. უბანში აგიტატორებისა და ამომრჩევლებისათვის ტარდება ლექცია-მოხსენებები.

დოც. ი. მრევლიშვილმა წაიკითხა ლექცია თემაზე — „საბჭოთა საარჩევნო სისტემა ყველაზე დემოკრატიული სისტემაა მთელ მსოფლიოში", ხოლო ვ. აბაშმაძემ — „ბურჟუაზიული დემოკრატიის კრახი". ორჯერ მოეწყო აგიტატორთა შეკრება მუშაობის გამოცდილების ურთიერთგაზიარების მიზნით. აგიტატორებს, რომელნიც ახლად ჩაებნენ საგიტაციო მუშაობაში, თავის გამოცდილების შესახებ ესაუბრა მოწინავე აგიტატორი თ. კეცარიძე.

აგიტატორები საარჩევნო უბანში სისტემატურად ატარებენ საუბრებს თემებზე — „საბჭოთა მთავრობის ზრუნვა მშრომელთა მატერიალური და კულტურული დონის შემდგომი ამაღლებისათვის", „უკრაინის რუსეთთან შეერთების 300 წლისთავი", „საბჭოთა დემოკრატია დემოკრატიის უმაღლესი ტიპი მთელ მსოფლიოში", „საბჭოთა საარჩევნო სისტემა" და სხვა.

გათვალისწინებულია, უახლოეს ხანებში მოეწყოს ამომრჩეველთა კოლექტიური სვლები კინო-თეატრებში და ქალაქის ისტორიული ადგილების დასათვალიერებლად.

**ბ. ალექსიძე**

## ექსკურსია დიასახლისებისათვის

კავშირის საბჭოს არჩევნების № 46 და ეროვნებათა საბჭოს არჩევნების № 19 საარჩევნო უბნის აგიტპუნქტმა დიასახლისებისათვის მოაწყო ექსკურსია სტალინური მარშრუტით. ექსკურსანტებმა დიდი ინტერესით დაათვალიერეს ი. ბ. სტალინის ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან დაკავშირებული ადგილები: თბილისის ყოფილი სასულიერო სემინარიის შენობა, ავლაბრის არალეგალური სტამბა, დამკვირვებლის ოთახი ობსერვატორიაში, სადაც მუშაობდა ახალგაზრდა სტალინი და სხვა.

დიასახლისები კმაყოფილი დაბრუნდნენ ექსკურსიიდან.

**ე. თევზაძე**

## კარგი აგიტატორები

საარჩევნო კამპანიის წარმატებით ჩატარებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება საგიტაციო მუშაობას მოსახლეობაში. ამ მუშაობაში ჩაბმული არიან ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტები და ასპირანტები, მეცნიერებათა კანდიდატები.

ფილოლოგიის ფაკულტეტის პარტიულმა ბიურომ ზემო ვაკის უბანში სამუშაოდ გამოყო 13 აგიტატორი.

მოსახლეობაში მომუშავე აგიტატორებიდან გამოირჩევიან რუსული ენის კათედრის ასპირანტები — ლ. ბირიუკოვა, ნ. მიქაძე და ე. ხარატიშვილი. ეს ამხანაგები უნივერსიტეტში სწავლის პირველი წლებიდანვე გამოირჩეოდნენ კარგი აკადემიური მაჩვენებლებით და საზოგადოებრივ მუშაობაში აქტიური მონაწილეობით. მოწინავე აგიტატორები სისტემატურად დადიან ზემო ვაკის დიასახლისებთან, ატარებენ მათთან შინაარსიან და საინტერესო საუბრებს.

**გ. ბახტაძე.**

# გრიბოედოვი ირანში

გულისთანის საზავო ხელშეკრულების საფუძველზე (1813 წ.) რუსეთის მიერ ირანი გამოდევნილი იქნა ამიერკავკასიიდან. არაქსის მარცხენა მხარეს ირანის მფლობელობაში რჩებოდა მხოლოდ ერევნისა და ნახიჭევანის სახანოები. ირანი განცდილ მარცხს ვერ ურიგდებოდა. ირანელი ხელისუფალნი ყოველნაირად აფერხებდნენ ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას. ძლიერდებოდა ანტირუსული რევანშისტული ომის ფსიქოზი. ასეთი განწყობილება უხვად ასხამდა წყალს ინგლისის დიპლომატიის წისქვილზე. ინგლისლები შეშფოთებული იყვნენ რუსეთის წარმატებითი წინსვლით ახლო და შუა აღმოსავლეთში და მას უპირისპირებდნენ თავიანთ აგრესიულ გეგმებს ამიერკავკასიისა და შუა აზიის მიმართ.

ასეთ ვითარებაში, 1818 წლის ივლისში, ა. ს. გრიბოედოვს გამგზავრება უხდება ირანში რუსეთის საელჩოს მდივნის თანამდებობაზე. რუსეთის ელჩი, მაზაროვიჩი, რომელიც არც მაინცდამაინც დიდი დიპლომატიური ნიჭით გამოირჩეოდა, მეტწილად თეირანში, შაჰის კარზე, ატარებდა დროს. გრიბოედოვი კი თავრიზში იმყოფებოდა და მას უხდებოდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი საკითხების მოგვარება. გრიბოედოვის მთავარი საზრუნავი ტყვეების სამშობლოში დაბრუნება იყო. საქართველოში ალა-მაჰმად-ხანის ველური ურდოების შემოსევისა და რუსეთ-ირანის პირველი ომის მსვლელობაში, უამრავი ტყვე იქნა გარეკილი ირანში. ხელშეკრულების საფუძველზე ირანის მთავრობა ვალდებული იყო ისინი უკანვე დაებრუნებინა. ირანელი წარჩინებულები, რომლებსაც ათობით ყავდათ კავკასიელი ტყვეები თავიანთ მონა-სამკაულებად, ძალად გამაჰმადიანების, გაყიდვის, დამალვის, ჯარში შეყვანის თუ სხვა საშუალებით აფერხებდნენ მათი რეპატრიაციის საქმეს. გრიბოედოვი თვითონ აწარმოებდა ტყვეების დაკითხვას. მარტო ერთ დღეს—1819 წლის 30 აგვისტოს მოწყობილი დაკითხვის შედეგად მან 70-მდე ტყვე ჯარისკაცი გაათავისუფლა, იგი ამასთანავე, დიდ მზრუნველობას იჩენდა განთავისუფლებული ტყვეებისადმი, თვითონ მას პარტიობით ჩამოჰყავდა ისინი თბილისში. ერმოლოვი 1819 წ. 11 ნოემბერს გრიბოედოვის შესახებ წერდა: „ამ შემთხვევაში სასიამოვნოა, შევნიშნო გრიბოედოვის მზრუნველობა დაბრუნებული ჯარისკაცებისადმი და არ შემიძლია უარი ვთქვა მისდამი სამართლიან შექებაზე". ამიერკავკასიის ქვეყნებიდან გაქცეული რეაქციონერი ფეოდალ-ხანები ირანში, შაჰის კარზე, პოულობდნენ თავშესაფარს. იქ ისინი აწყობდნენ შეთქმულთა და ტერორისტთა ბუდეებს რუსეთის წინააღმდეგ. იყვნენ რა ინგლისელ კოლონიზატორებთან კავშირში, ისინი აქეზებდნენ და საქმით ეხმარებოდნენ ირანს რუსეთის წინააღმდეგ რევანშისტული ომის მომზადებაში. გრიბოედოვი ენერგიულად მოითხოვდა შაჰის მთავრობისაგან, რათა ამ უკანასკნელს არ მიეცა თავშესაფარი რუსეთისადმი მტრული ელემენტებისათვის. იგი აქტიურად იბრძოდა ირანში ინგლისელთა გავლენის წინააღმდეგ. მან, წინააღმდეგ ინგლისელთა სურვილისა, დიდი როლი ითამაშა ირან-თურქეთის ომის გაჩაღებაში 1821 წელს. ამით კი ხანგრძლივი დროით გადაიდო ირანის ომი რუსეთთან. ამ დროს გრიბოედოვი საფუძვლიანად სწავლობდა სპარსულ ენას, ვარჯიშობდა სპარსულად ლაპარაკში.

1822 წელს თავრიზიდან თბილისში მორიგი მგზავრობისას უბედური შემთხვევის გამო იგი ხანგრძლივი დროით სტოვებს ირანს.

1826 წლის შემოდგომაზე გრიბოედოვი თბილისში ჩამოდის. ამ დროს ირანსა და რუსეთს შორის უკვე ომი მიმდინარეობდა. გრიბოედოვი ფრონტზე მიდის. მან განსაკუთრებით თავი გამოიჩინა აბასაბადისათვის ბრძოლებში. 1827 წლის ივლისში გრიბოედოვი ინიშნება რუსეთის წარმომადგენლად საზავო მოლაპარაკებში, რომელიც სოფელ ყარაზიადინში შედგა (49 კმ არაქსიდან). მართალია, ეს მოლაპარაკება წარმატებით არ დამთავრებულა, მაგრამ მან გრიბოედოვის ბრწყინვალე დიპლომატიური ნიჭის წყალობით დიდი სარგებლობა მოუტანა რუსეთის მხარეს. გრიბოედოვმა წარმატებით გამოიყენა უთანხმოება მტრის ბანაკში. მან მჭიდრო ურთიერთობა დაამყარა თავრიზის მუშტეჰიდ ალა-ამირ-ფეტ-სეიდთან და გუბერნატორ ფეტ-ალი-ხანთან. მათი უშუალო ხელშეწყობით და მოსახლეობის აქტიური დახმარებით, რუსეთის ჯარებმა თითქმის უბრძოლველად აიღეს ქალაქები—ხოი, მარანდა და თავრიზი, 1827 წლის დამლევს რუსეთის არმიამ თეირანის მიმართულებით განავითარა შეტევა.



1828 წლის 22 თებერვალს დაბა თურქმანჩაიში ხელმოწერილი ხელშეკრულების პროექტი გრიბოედოვის მიერ იყო შედგენილი. ხელშეკრულების საფუძველზე რუსეთ-ირანის სახელმწიფო საზღვარი ძირითადად მდ. არაქსზე წესდებოდა. ირანს დაეკისრა მნიშვნელოვანი საკონტრიბუციო თანხების გადახდა. ამას გარდა, რუსეთს ეძლეოდა ფართო იურიდიული უფლებები და სავაჭრო-სატრანზიტო შეღავათები ირანის ტერიტორიაზე. ეს ხელშეკრულება მძლავრი დარტყმა იყო ინგლისის გავლენის წინააღმდეგ მახლობელ აღმოსავლეთში. ბოლოს, რაც მთავარია, ბოლო ედებოდა შაჰის ირანის მრავალსაუკუნოვან ბატონობას ამიერკავკასიის ხალხებზე. ქართველმა, სომეხმა და აზერბაიჯანელმა ხალხმა საბოლოოდ და სამუდამოდ დაუკავშირეს თავიანთი ბედი დიდ რუს ხალხს, ეკონომიურად დაწინაურებულ რუსეთთან დაკავშირებამ მძლავრი ბიძგი მისცა მათი საწარმოო ძალების შემდგომ განვითარებას და მატერიალურ და კულტურულ აღმავლობას. ამ ხალხების მოწინავე წარმომადგენლები ღრმად დაეწაფნენ რუსეთის პროგრესული საზოგადოების დემოკრატიულ-რევოლუციურ იდეებს და შეისისხლხორცეს იგი. მართალია, ცარიზმი კავკასიაში რუსიფიკატორულ, კოლონიურ პოლიტიკას აწარმოებდა, მაინც რუსეთთან შეერთება იყო ერთადერთი სწორი გზა, რაც შემდგომში ისტორიის მთელი მსვლელობით დადასტურდა.

გრიბოედოვმა, რომელიც მაშინდელი რუსეთის საზოგადოების პროგრესულ ნაწილს ეკუთვნოდა, თავისი დაუფასებელი წვლილი შეიტანა ამ საქმეში. 1828 წლის 14 მარტს დედაქალაქის საზოგადოებამ საზეიმო ვითარებაში მიიღო გრიბოედოვი, რომელმაც პეტერბურგში თურქმანჩაის ხელშეკრულების ხელმოწერილი ტექსტი ჩაიტანა. მეფე იძულებული გახდა, დაეჯილდოებია იგი.

ამავე წლის 25 აპრილს გრიბოედოვს ნიშნავენ ირანში რუსეთის სრულუფლებიან მინისტრად. 10 ოქტომბერს იგი თავრიზში ჩავიდა. მეფის მთავრობა, სპეციალური ინსტრუქციით, მკაცრად განსაზღვრავდა გრიბოედოვის, როგორც დიპლომატის მოქმედებას. მისგან მოითხოვდნენ, დაეჩქარებია საკონტრიბუციო თანხების გადახდევინება, რაც ესოდენ მძიმე ტვირთად აწვა ირანის მშრომელ მოსახლეობას. როგორც წინათ, ახლაც განსაკუთრებით გაძნელდა ტყვეების საკითხი. საჭირო გახდა ამ საკითხის შაჰის კარზე მოგვარება. 1828 წლის 8 (20) დეკემბერს გრიბოედოვი უკვე თეირანში იყო. ინგლისელი რეზიდენტები შეშფოთებული იყვნენ რუსეთის ელჩის თეირანში გადასვლით. ისინი ვარაუდობდნენ მის შესაძლო გავლენას თვით შაჰზე.

თეირანში გრიბოედოვს დახმარებისათვის მიმართა ტყვე ქართველმა—მირზა იაკუბმა, რომელიც შაჰს გაემაჰმადიანებია, დაესაჭურისებია და ჰარემში აეყვანა მსახურად. ამავე დროს გრიბოედოვთან მივიდა გავლენიანი ყაჯარი პრინცის ალაიარ-ხანის, ჰარემიდან გამოქცეული ტყვე ქართველი ქალი. გრიბოედოვმა ხელშეკრულების მე-13 მუხლის საფუძველზე ირანის მთავრობისაგან მოითხოვა მათი განთავისუფლება, რაც საბაბი გახდა რუსეთის ელჩთან ანგარიშის გასწორებისა.

შეთქმულთა დავალებით 1829 წლის 30 იანვარს (11 თებერვალს), დილით, მუშტეჰიდმა პირზა მასიჰმა მეჩეთში შეკრიბა მუსლიმან ფანატიკოსთა ბრბო და მოუწოდა მათ, გაენადგურებიათ რუსეთის საელჩო. ფანატიკოსებმა ბრმად შეასრულეს „სულიერი მამის" მოწოდება. შეთქმულნი დიდხანს მალავდნენ ბოროტმოქმედების კვალს.

როგორც ახლა დადასტურებულია, საერთაშორისო ურთიერთობათა ისტორიაში ამ გაუგონარი ბოროტმოქმედების მთავარი დამნაშავენი, იყვნენ ფათ-ალი-შაჰი, ყაჯართა გავლენიანი პრინცები, რეაქციული მუსლიმანური სამღვდელოების წარმომადგენლები და ინგლისელი რეზიდენტები. ხოლო ბოროტმოქმედების კვალის დაფარვას ხელი შეუწყვეს რუსეთის მეფემ ნიკოლოზ I-მა და მისმა რეაქციონერმა მინისტრებმა, რომლებსაც სძულდათ გრიბოედოვი მისი პროგრესული იდეებისათვის.

ჩვენი ხალხი ღრმა პატივისცემით ინახავს რუსი ხალხის სახელოვანი შვილის, ა. ს. გრიბოედოვის ხსოვნას, რომელიც პროგრესისათვის ბრძოლაში ფეოდალური რეაქციის უკულმართობათა მსხვერპლი გახდა.

**გ. ჭიკაშვილი**

---

## გრიბოედოვის სახელობის სტიპენდიები

ჩვენი ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებში და მათ შორის ჩვენს უნივერსიტეტშიაც დაწესებულია გრიბოედოვის სახელობის სტიპენდია. ჩვენს უნივერსიტეტში ორი მოწინავე სტუდენტია ამ სტიპენდიით დაჯილდოებული. ესენი არიან—ფილოლოგიის ფაკულტეტის რუსული ენისა და ლიტერატურის განყოფილების IV კურსის სტუდენტი ბ. ბახტაძე და იურიდიული ფაკულტეტის V კურსის სტუდენტი ნ. გოჩაშვილი. ისინი ფრიადზე სწავლობენ და ამასთან აქტიურ საზოგადოებრივ მუშაობასაც ეწევიან.

---

18 თებერვალს, ნაშუადღევის 3 საათსა და 15 წუთზე უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში შედგება სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

## სტუდენტთა პროფორგანიზაციის XIII კონფერენცია

დღის წესრიგი:

1. 1953/54 სასწავლო წლის I სემესტრის შედეგები და მომავალი ამოცანები (მომხსენებელი პროფ. ი. გვერდწითელი).
2. საქართველოს სსრ კულტურის მუშაკთა პროფესიონალური კავშირის I კონფერენციაზე გასაგზავნი დელეგატების არჩევნები.

სტუდენტთა პროფკომი

---

*Пролетарии всех стран, соединяйтесь!* Издается с 1947 года.

**За ленинское воспитание**

Орган парткома, ректората, комитета ЛКСМ и профкома АГУ им. С. М. Кирова.

| № 3 (229) | Вторник, 9 февраля 1954 года | Цена 20 коп. |
| --- | --- | --- |

## აზერბაიჯანის უნივერსიტეტის გაზეთის ფურცლებზე

როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, ზამთრის არდადეგების პერიოდში ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტთა თვითმოქმედი კოლექტივი ეწვია მოძმე აზერბაიჯანის დედაქალაქს—ბაქოს. სიმფონიურმა ორკესტრმა და მოცეკვავეთა ანსამბლმა გამართა რამდენიმე კონცერტი აზერბაიჯანის უნივერსიტეტში, მენავთობეთა კლუბში და კონსერვატორიაში. ამ კონცერტებმა წარმატებით ჩაიარა.

თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტთა სტუმრობა ფართოდ გააშუქა ს. მ. კიროვის სახელობის აზერბაიჯანის სახელმწიფო უნივერსიტეტის მრავალტირაჟიანმა გაზეთმა.—მოძმე საქართველოს უნივერსიტეტის სტუდენტთა შეხვედრა აზერბაიჯანის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებთან ჩვენი დიდი სამშობლოს ხალხთა მეგობრობის ნათელ დემონსტრაციად იქცა,—წერს გაზეთი.

თავის წერილში—„დაუვიწყარი კონცერტი" მ. მაჩკოვსკი აღნიშნავს: „უნივერსიტეტის სააქტო დარბაზს არ შეეძლო დაეტია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თვითმოქმედი კოლექტივის კონცერტზე დასწრების ყველა მსურველი... მწყობრი ორკესტრი, მისი ჟღერადობა და მუსიკალურობა ხიბლავს მსმენელებს, რომელნიც მხურვალე აპლოდისმენტებით აჯილდოებენ შემსრულებლებს და დირიჟორს—ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ა. ნასიძეს".

გაზეთი მაღალ შეფასებას აძლევს სოლისტების—რ. დავრიშაშვილის, დ. მეგრელიშვილის, ლ. კვანტალიანისა და გ. ზედგინიძის შესრულებას, ცეკვებიდან კი—გ. ვაშაკიძისა და ა. დიასამიძის მთიულურ ცეკვას, ლ. კანკავასა და ვ. გამცემლიძის აჭარულ სახუმარო ცეკვას—„განდაგან", აგრეთვე მასობრივ ცეკვებს—„რამაიდას", „სატრფიალოსა" და „შეჯიბრებას".

გაზეთში მოთავსებულია აგრეთვე ჩვენი უნივერსიტეტის ალკკ კომიტეტის მდივნის ამხ. კ. გოგსაძის წერილი—„კიდევ უფრო განვამტკიცოთ მოძმე რესპუბლიკათა სტუდენტების მეგობრობა" და პროფკომის თავმჯდომარის ამხ. კ. კერვალიშვილის წერილი—„თბილისის უნივერსიტეტის მხატვრული თვითმოქმედება". ამავე ნომერში მოთავსებულია თბილისის უნივერსიტეტის სიმფონიური ორკესტრისა და მოცეკვავეთა ანსამბლის ფოტოსურათები.

---

## კარგი ინიციატივა

7 თებერვალს ალკკ კომიტეტისა და პროფკომის ინიციატივით ჩვენს უნივერსიტეტში მოეწყო ახალი სემესტრის დაწყებისადმი მიძღვნილი ბალ-მასკარადი. ასეთი ღონისძიება ჩვენს უნივერსიტეტში დიდი ხანია აღარ ჩატარებულა.

შვიდი საათისათვის ლამაზად მორთული ვესტიბიული და დარბაზი არდადეგებიდან დაბრუნებული სტუდენტებით აივსო. მრავალი სტუდენტი იყო გამოწყობილი სამასკარადო კოსტუმებში და ნიღბებში.

ბალ-მასკარადმა კარგად ჩაიარა. მასობრივი თამაშობანი, ცეკვები, ვიქტორინა, სიმღერა ერთიმეორეს ენაცვლებოდა.

საუკეთესო კოსტუმებისა, ცეკვისა, ვიქტორინის ამოხსნისა და ვოკალური ნომრების საუკეთესო შესრულებისათვის ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდნენ სტუდენტები: ლ. ჩხაიძე, ნ. გიორგობიანი, რ. დავრიშაშვილი და სხვ.

ალკკ კომიტეტისა და პროფკომის ეს ინიციატივა მისასალმებელია. სასურველია ხშირად ეწყობოდეს ასეთი ბალ-მასკარადები.

**ო. თენეიშვილი**

## უნივერსიტეტის ლექტორიუმში

მიმდინარე თვეში უნივერსიტეტის ლექტორიუმში მოხსენებებს წაიკითხავენ:

20 თებერვალს, დოც. შ. რევიშვილი— „ლენინი საზღვარგარეთული ლიტერატურის შესახებ";

23 თებერვალს, დოც. ა. იშხნელი — „არაგამტართა ფიზიკის ზოგიერთი ძირითადი საკითხი";

25 თებერვალს, დოც. ა. სურგულაძე— „რუსეთთან უკრაინის შეერთება და მისი ისტორიული მნიშვნელობა";

27 თებერვალს, პროფ. ნ. ოაშვილი — „თბილისის საგარეუბნო ზონის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ამოცანები სექტემბრის პლენუმის დადგენილებათა შუქზე".

სხდომები შედგება № 93 აუდიტორიაში; დასაწყისი 3 საათზე. დასწრება თავისუფალია.

## ბიოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტთა სამეცნიერო წრეში

23 თებერვალს დიდი მეცნიერის ჩარლზ დარვინის დაბადების 145 წლისთავთან დაკავშირებით, ბიოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტთა სამეცნიერო წრე ატარებს კონფერენციას.

მოხსენებებს წაიკითხავენ სტუდენტები: ილ. აივაზაშვილი—„დარვინის ცხოვრება და მოღვაწეობა"; მ. სოხაძე — „მარქსიზმის კლასიკოსები დარვინის თეორიის შესახებ"; რ. ხუბუტია — „მიჩურინული დარვინიზმი — დარვინიზმის განვითარების უმაღლესი ეტაპია"; თ. ონიანი — „დარვინის მოძღვრება სახეობისა და მისი წარმოქმნის შესახებ — მიჩურინული დარვინიზმის თვალსაზრისით"; ნ. ლაბაძე — „რეაქციული სოციალური დარვინიზმი იმპერიალიზმის სამსახურში".

## გასწორება

ჩვენი გაზეთის 13 თებერვლის ნომრის მოწინავე წერილის სათაური უნდა იკითხებოდეს ასე: „კომკავშირული ორგანიზაციის ყოველდღიური ზრუნვის საგანი".

იმავე ნომერში მე-3 გვერდზე დაბეჭდილი წერილის — „სტუმრად ბაქოში"— მესამე სვეტის ბოლო აბზაცში უნდა იკითხებოდეს: „აღფრთოვანება გამოიწვია ბაქოს უნივერსიტეტის სტუდენტის ი. მუსაევას გამოსვლამ" და შემდეგ როგორც ტექსტშია.

რედაქტორი **ირ. ვეშაპიძე**

ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემლობა. სტამბა-ლითოგრაფია. უნივერსიტეტის ქ. № 1. ტირაჟი 1000. უე 01975.